

ცვლილებები დამტკიცებულია გამგეობის მიერ
სხდომის ოქმი #2-2022
1 აგვისტო, 2022 წელი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი



წ ე ს დ ე ბ ა

(ახალი რედაქციით)

თბილისი

01.08.2022წ.

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ (შემდგომში „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ ან საზოგადოება) არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია 1998 წლის 7 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
2. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მისამართია: დავით აღმაშენებლის გამზირი #61, თბილისი 0102, საქართველო. ელ. ფოსტა: info@transparency.ge. (ცვლილება განხორციელებული 15/09/2015, გამგეობის სხდომის ოქმი №2-2015).
3. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ წარმოადგენს მსოფლიო მოძრაობის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ (Transparency International) წევრს.
4. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ (Transparency International) „ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა“ (Transparency International Conflict of Interest Policy) წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ოფიციალურ დოკუმენტს, რომელიც სავალდებულოა შესასრულებლად საზოგადოების ყველა თანამშრომლისა და გამგეობის წევრებისთვის. „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ „ინტერესთა კონფლიქტის პოლიტიკა“ წარმოადგენს წინამდებარე წესდების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. მიზნები

1. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ მიზანია სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობის ხელშეწყობა და გაძლიერება, კანონის უზენაესობისა და კარგი მმართველობის განვითარება, სახელმწიფო ორგანოების გამჭვირვალობისა და საზოგადოების წინაშე მათი ანგარიშვალდებულების უზრუნველყოფა, სამართლიანი და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების ხელშეწყობა (ამ მიზნებით არჩევნებზე დაკვირვების განხორციელება), ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების და თავისუფლებების დაცვა, საქველმოქმედო საქმიანობის განხორციელება”. (ცვლილება განხორციელებული 28/05/2013, გამგეობის სხდომის ოქმი №1-2013).
2. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპებია:
 - 2.1. ყოვლისმომცველი, სიღრმისეული და ობიექტური ანალიზების განხორციელება;
 - 2.2. გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების ამაღლების მიზნით პრო აქტიული ადვოკატირების ეფექტური განხორციელება;

2.3. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ მუშაობაში საზოგადოების ჩაბმულობის ხელშეწყობა და წახალისება იმისათვის, რომ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ საქმიანობა სრულად შეესაბამებოდეს და გამოხატავდეს ქართული საზოგადოების ყოველი ნაწილის ინტერესებსა და საჭიროებებს.

2.4. ტექნოლოგიური ინოვაციების გამოყენების წახალისება და ხელშეწყობა.

3. საზოგადოების, როგორც საერთაშორისო ქსელის „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ წევრის, მიზანს წარმოადგენს „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ (Transparency International) მიზნების განხორციელების მხარდაჭერა საქართველოში.

მუხლი 3. გამგეობა

1. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ უმაღლესი მმართველი ორგანო არის გამგეობა. იგი განსაზღვრავს საზოგადოების ზოგად სტრატეგიასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, აგრეთვე ზედამხედველობას უწევს აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობას. გამგეობა ადგენს აღმასრულებელი დირექტორის სამუშაოს აღწერილობას.

2. გამგეობას უფლება აქვს დაადგინოს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წევრობის წესები და გარკვეული უფლებები და მოვალეობები გადასცეს წევრების მიერ შექმნილ ორგანოს.

3. გამგეობა გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობის წევრთა უმრავლესობით, თუ ამ წესდებით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული.

4. გადაწყვეტილებას საზოგადოების ლიკვიდაციის, ან რეორგანიზაციის შესახებ იღებს გამგეობა ხმების 4/5-ის უმრავლესობით.

5. გამგეობის სხდომები იმართება უშუალოდ, ან ინტერნეტ-კონფერენციის სახით წელიწადში ორჯერ მაინც. აღმასრულებელი დირექტორის ან გამგეობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით შესაძლოა ყველა წევრს ელექტრონული ფოსტის საშუალებით დაეგზავნოს დღის წესრიგით განსაზღვრული საკითხები, რაზედაც გამგეობის წევრები ელექტრონული ფორმითვე დააფიქსირებენ საკუთარ პოზიციას დღის წესრიგთან დაკავშირებით. (ცვლილება განხორციელებული 28/05/2013, გამგეობის სხდომის ოქმი №1-2013).

6. გამგეობა ვალდებულია შეადგინოს და შეინახოს შეხვედრის ოქმები, როგორც ქალაქში, ისე ელექტრონული ფორმით. გამგეობის ყველა წევრს აქვს უფლება მიიღოს გამგეობის დოკუმენტაცია.

7. გამგეობის სხდომა მოიწვევა გამგეობის თავმჯდომარის, აღმასრულებელი დირექტორის ან გამგეობის ორი წევრის მიერ.

8. გამგეობა:

- 8.1. გამგეობის წევრთაგან ფარული ან ღია კენჭისყრით ირჩევს თავმჯდომარეს;
- 8.2. თანხმობას იძლევა აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნაზე;
- 8.3. მონაწილეობს საზოგადოების სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში და განსაზღვრავს საზოგადოების საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
- 8.4. დამსწრეთა 3/5 უმრავლესობით ცვლილებები შეაქვს წესდებაში ან იღებს ახალ წესდებას;
- 8.5. წყვეტს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ რეგისტრირებულ საზოგადოებებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნების საკითხს;
- 8.6. ამტკიცებს აღმასრულებელი დირექტორის საქმიანობის აღწერილობას;
- 8.7. ფარული ან ღია კენჭისყრით წევრთა 4/5 უმრავლესობით თანამდებობიდან გადააყენებს საზოგადოების აღმასრულებელ დირექტორს. გადააყენების მიზეზი გამგეობის წევრების მიერ წერილობით უნდა განისაზღვროს.
- 8.8. წყვეტს სხვა საკითხებს, რომელიც პირდაპირ არ არის მითითებული ამ წესდებაში.

9. გამგეობის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში გამგეობის თავმჯდომარე ან აღმასრულებელი დირექტორი ვალდებულია უზრუნველყოს გამგეობის სხდომის მოწვევა, სადაც მოხდება წევრობაზე არსებული განცხადებების განხილვა და ახალი წევრის მიღება. ახალი წევრი მიიღება იმ ვადით, რა ვადაც ჰქონდა დარჩენილი წევრს, რომელსაც ვადამდე შეუწყდა წევრობა.

10. გამგეობის სხდომის მოწვევის ორგანიზებას ახდენს აღმასრულებელი დირექტორი ან გამგეობის თავმჯდომარე.

11. გამგეობის წევრებს სხდომის შესახებ ეცნობებათ სხდომის თარიღამდე სულ მცირე 5 სამუშაო დღით ადრე ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით გამოგზავნილი წერილის სახით, რომელიც უნდა შეიცავდეს დღის წესრიგსა და სათანადო მასალებს.

12. ზოგადი წესის თანახმად გამგეობა გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მის სხდომას ესწრება სრული შემადგენლობის 3/5 მაინც უშუალოდ ან ელექტრონული (სხვა ტექნოლოგიური) საშუალებების გამოყენებით.

13. თუ გამგეობის სხდომას არ ესწრება წევრების ამ წესდებით დადგენილი მინიმალური ოდენობა ერთი კვირის ვადაში აღმასრულებელი დირექტორი ან გამგეობის თავმჯდომარე მოიწვევს ხელახალ სხდომას, რომელიც უფლებამოსილი იქნება თუ მას დაესწრება გამგეობის სულ მცირე 1/2 მაინც. სხდომაზე დამსწრე გამგეობის წევრთა ერთხმად მიღებული გადაწყვეტილებით შესაძლოა გამგეობის სხდომის ხელახლა მოწვევის ამ პუნქტით დადგენილი წესი არ იქნას გამოყენებული და სხდომა პირდაპირ გახდეს უფლებამოსილი განიხილოს დღის წესრიგით დადგენილი საკითხები.

14. გამგეობის წევრები:

- შიო ხეცურიანი - დაბადებული 04.12.1980 წელს თბილისში, საქართველო, პროფესიით ფინანსისტი, მცხოვრები საქართველო, ქალაქი თბილისი, ტარას შევჩენკოს ქუჩა, N 5, ბინა 4. პირადი #01017012172 (გამგეობის თავმჯდომარე).
- მათა მაქაშაიძე - დაბადებული 02.05.1966 წელს თბილისში, საქართველო. პროფესიით კომუნიკაციის სპეციალისტი, მცხოვრები საქართველო, ქალაქი თბილისი მცხეთის ქ. N2 ბ.25, თბილისი, პირადი #01008004770.
- სოფიო ფანჯიკიძე - დაბადებული 29.07.1983 წელს თბილისში, საქართველო. პროფესიით იურისტი, მცხოვრები საქართველო, ქალაქი თბილისი, ქობულეთის ქუჩა N34ა პირადი # 01008020745.
- ანდრო დგებუაძე - დაბადებული 19.08.1971 წელს თბილისში, საქართველო. პროფესიით ფინანსისტი, მცხოვრები საქართველო, ქალაქი თბილისი, პეკინის გამზირი N14, ბ.25, პირადი #01024009907.
- ნინო ჩიჩუა - დაბადებული: 06.10.1978 წელს, თბილისი, საქართველო, პროფესიით მარკეტინგის სპეციალისტი, მცხოვრები საქართველო, თბილისი, ლევან მიქელაძის ქუჩა, N 19, ბინა 22 (ყოფ. თ. აბულაძის ქ.), პირადი ნომერი #01017001342.

(ცვლილება განხორციელებული 04/06/2014, გამგეობის სხდომის ოქმი №1-2014).

(ცვლილება განხორციელებული 15/09/2015, გამგეობის სხდომის ოქმი №2-2015).

(ცვლილება განხორციელებული 06/12/2016, გამგეობის სხდომის ოქმი №2-2016).

(ცვლილება განხორციელებული 19/03/2018, გამგეობის სხდომის ოქმი №1-2018)

(ცვლილება განხორციელებული 21/12/2018, გამგეობის სხდომის ოქმი №2-2018)

(ცვლილება განხორციელებული 30.09.2020, გამგეობის სხდომის ოქმი №1-2020)

(ცვლილება განხორციელებული 01.07.2022, გამგეობის სხდომის ოქმი №1-2022)

(ცვლილება განხორციელებული 01.08.2022, გამგეობის სხდომის ოქმი №2-2022)

მუხლი 4. გამგეობის წევრობა

1. გამგეობა შედგება არანაკლებ 5 და არა უმეტეს 21 წევრისაგან. წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები. იურიდიული პირები ან „ექს ოფიცო“ წევრები გამგეობაში არ დაიშვებიან. ამასთან წევრების რაოდენობა აუცილებლად კენტი უნდა იყოს

2. გამგეობის წევრის უფლებამოსილება გრძელდება 3 წელს. ვადა იწურება შესაბამისი წლის ივნისში ან დეკემბერში. გამგეობის წევრის უფლებამოსილება შეუწყდება მას შემდეგ, რაც მის ადგილას ახალი წევრი აირჩევა.

3. იმ შემთხვევაში თუ გამგეობაში არ არის კვორუმი ან რაიმე სხვა მიზეზით ვერ ხერხდება ახალი წევრის არჩევა, მას შეუძლია აღადგინოს ყოფილი წევრები. ამ შემთხვევაში გამგეობა დაიწყებს ხმის მიცემის პროცედურას უკანასკნელი ყოფილი წევრისგან და კენჭს უყრის ყოფილ კანდიდატებს ერთი მეორის მიყოლებით, მანამ სანამ გამგეობაში აირჩევა კვორუმისთვის საკმარისი წევრთა რაოდენობა. ხმის მიცემა იწარმოებს უბრალო უმრავლესობით.
4. ყოველ წელს, 30 ივნისამდე გამგეობის თავმჯდომარე წევრობაზე შემოსული განცხადებების საფუძველზე და უკვე არსებული წევრების უფლებამოსილების ვადის გათვალისწინებით შეადგენს და/ან გადახედავს წევრების ნუსხას, რომელსაც სხდომაზე წარუდგენს გამგეობის დანარჩენ წევრებს. საჭიროების შემთხვევაში ამ წესდებით დადგენილი წესით შემდგარ სხდომაზე გამგეობის უფლებამოსილი წევრები ირჩევენ ახალ წევრებს და ახდენენ წევრობის ცვლილების დოკუმენტირებას. გამგეობის გადაწყვეტილება დაუყოვნებლივ უნდა აისახოს საზოგადოების ოფიციალურ ვებ გვერდზე.
5. გამგეობამ შესაძლოა დაადგინოს საკუთარი წევრების როტაციის ვადები.
6. ნებისმიერი ფიზიკური პირი უფლებამოსილია შეიტანოს განაცხადი გამგეობის წევრობაზე. გამგეობა კენჭს უყრის კანდიდატს, თუ ამ უკანასკნელს გამგეობის ორი წევრი მაინც უჭერს მხარს.
7. გამგეობის წევრობის რამოდენიმე კანდიდატის არსებობის შემთხვევაში წევრად აირჩევა ის კანდიდატი (კანდიდატები), რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს, მაგრამ არანაკლებ გამგეობის სრული შემადგენლობის 3/5-ისა. გამგეობის წევრობის ერთი კანდიდატის შემთხვევაში იგი არჩეულად ჩაითვლება თუ მას მხარს დაუჭერს გამგეობის სრული შემადგენლობის 3/5 მაინც. გამგეობის წევრობის კანდიდატებს კენჭი ეყრებათ ინდივიდუალურად.
8. თუკი, რაიმე მიზეზის გამო, გამგეობის წევრების რაოდენობა ხუთზე ნაკლები გახდება, მოწვეული უნდა იქნას გამგეობის რიგგარეშე სხდომა, სადაც გამგეობის ახალი წევრების არჩევა მოხდება.
9. ერთი ვადის ამოწურვის შემდეგ, თუკი გამგეობის წევრს სურს გამგეობაში მეორე ვადით დარჩენა, დანარჩენი წევრების უმრავლესობა ამას უნდა დათანხმდეს. ასეთი თანხმობის არარსებობის შემთხვევაში, გამგეობის წევრი მეორე ვადით ვეღარ დარჩება გამგეობაში. ზედიზედ ორი ვადის ამოწურვის შემდგომ გამგეობის წევრი მომდევნო ერთი წლის მანძილზე ვერ იქნება არჩეული გამგეობაში.
10. გამგეობის ყველა წევრი ვალდებულია დაემორჩილოს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ წესდებსა და სხვა ოფიციალურ დოკუმენტებს, ისევე, როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ ოფიციალურ დოკუმენტებს
11. გამგეობის წევრობა ავტომატურად წყდება, თუკი გამგეობის წევრი შევა პოლიტიკურ პარტიაში, დაინიშნება პოლიტიკურ თანამდებობაზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში, ან დაიკავებს თანამდებობას ხელისუფლების წარმომადგენლობით ორგანოში.

12. გამგეობის წევრი შეიძლება გადადგეს წერილობითი განცხადების საფუძველზე, ან გადაყენებულ იქნას გამგეობის წევრთა ხმების 3/5-ის უმრავლესობით, თუკი ეს წევრი არღვევს მოცემულ წესდებას, ან ზიანს აყენებს „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ რეპუტაციას. გადაყენების მიზეზი გამგეობის დანარჩენი წევრების მიერ წერილობით უნდა განისაზღვროს.

13. გამგეობის წევრი არ მონაწილეობს კენჭისყრაში და მას არ ააქვს ხმის უფლება თუ:

13.1. მის კანდიდატურას კენჭი ეყრება ახალი ვადით არჩევაზე;

13.2. იხილება მისი გადაყენების საკითხი;

13.3. იხილება ისეთი საკითხი, რომელიც პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებულია მასთან.

მუხლი 5. გამგეობის თავმჯდომარე

1. გამგეობის თავმჯდომარე აირჩევა გამგეობის წევრთაგან სამი წლის ვადით, გამგეობის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

2. იმ შემთხვევაში, თუ გამგეობის წევრი თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მისი უფლებამოსილების ვადის ბოლო წელს, მას გაუგრძელდება წევრობის უფლებამოსილება თავმჯდომარის უფლებამოსილების დასრულებამდე.

3. გამგეობის თავმჯდომარე:

3.1. ზედამხედველობს აღმსრულებელი დირექტორის საქმიანობას. ასრულებს აღმასრულებელ ფუნქციებს, როდესაც საზოგადოებას არ ჰყავს აღმასრულებელი დირექტორი.

3.2. უზრუნველყოფს გამგეობის სხდომების ორგანიზებასა და სხდომის ოქმების სათანადოდ წარმოებას. საჭიროების შემთხვევაში იგი მოიწვევს რიგგარეშე გამგეობის სხდომას. მას შეუძლია ეს უფლებამოსილებები გადაანდოს აღმასრულებელ დირექტორს, საზოგადოების სხვა თანამშრომელს, და/ან გამგეობის ერთ-ერთ წევრს.

3.3. უძღვება გამგეობის სხდომებს;

3.4. წარმოადგენს საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში;

3.5. გამგეობას დასამტკიცებლად წარუდგენს საზოგადოების ორგანიზაციული ცვლილებების გეგმას;

- 3.6. აღმასრულებელი დირექტორის არჩევამდე ასრულებს მის ფუნქციებს;
 - 3.7. განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევაში უფლებამოსილია განახორციელოს ყველა ის მოქმედება, რაც მინიჭებული აქვს აღმასრულებელ დირექტორს.
4. თუ გამგეობის მიერ სხვაგვარად არ იქნა გადაწყვეტილი, გამგეობის თავმჯდომარის უფლებამოსილება იწყება მისი არჩევის მომენტიდან და წყდება ახალი თავმჯდომარის არჩევისთანავე.
5. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან საზოგადოების მიზნებთან შეუსაბამო საქციელისათვის შეუძლია მხოლოდ გამგეობას. ასეთ შემთხვევაში გამგეობა ერთი თვის ვადაში ირჩევს ახალ თავმჯდომარეს დარჩენილი ვადით. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია თუ ამ საკითხს მხარს დაუჭერს გამგეობის წევრთა სულ მცირე 3/5.

მუხლი 6. აღმასრულებელი დირექტორი

1. აღმასრულებელ დირექტორს 1 წლის ვადით ნიშნავს გამგეობის თავმჯდომარე გამგეობის თანხმობით. აღმასრულებელი დირექტორის ვადა ავტომატურად გაგრძელდება თუ გამგეობა არ მიიღებს სხვაგვარ გადაწყვეტილებას ან არ აირჩევს ახალ აღმასრულებელ დირექტორს.
2. აღმასრულებელი დირექტორის კანდიდატურა არჩეულად ჩაითვლება, თუ მას მხარს დაუჭერს გამგეობის სხდომაზე დამსწრე წევრთა უმრავლესობა. ამასთანავე სხდომას უნდა ესწრებოდეს მინიმუმ წევრთა საერთო რაოდენობის 3/5.
3. აღმასრულებელი დირექტორის მიერ საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში მის ვალდებულებებს ასრულებს გამგეობის თავმჯდომარე.
4. გამგეობის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ დირექტორს გააჩნიათ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და ერთპიროვნული უფლება, წარმოადგენდნენ საზოგადოებას მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუკი გამგეობა სხვაგვარად არ გადაწყვეტს.
5. აღმასრულებელი დირექტორი უფლებამოსილია, გამგეობის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შექმნას მრჩეველთა საბჭო გარე და შიდა ექსპერტების მონაწილეობით.
6. საზოგადოების აღმასრულებელი დირექტორი: **ეკა გიგაური** - დაბადებული თბილისში 14/04/1978 წელს, იურისტი, მცხოვრები ქ. თბილისში, ნუცუბიძის ფერდობი მე-4 მკ.რ., კორპუსი #13, ბინა # 15. პირადობის მოწმობის # გ 0754220, პირადი ნომერი: 01010002003.

მუხლი 7. დამატებითი დებულებები

1. გამგეობის თავმჯდომარეს და აღმასრულებელ დირექტორს უფლება არა აქვთ ეწეოდნენ ისეთ საქმიანობას, რომელიც ხელს უშლის მათ უფლებამოსილებათა განხორციელებას დროის სიმცირის, მათი დატვირთვის ან ინტერესთა შეუთავსებლობის გამო.
2. თუ გამგეობის თავმჯდომარე ვერ ასრულებს საკუთარ უფლებამოსილებას მისი მოვალეობის შესრულება ევალება გამგეობის რომელიმე წევრს, რომელსაც განსაზღვრავს თავად გამგეობა.
3. ამ წესდებაში არსებული ნებისმიერი სახის შეუსაბამობა (ბუნდოვანება) და/ან წინააღმდეგობა განმარტებული და გადაწყვეტილი იქნება გამგეობის მიერ. გამგეობის განმარტებას და/ან გადაწყვეტილებას ენიჭება სავალდებულო ძალა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს უკიდურეს აუცილებლობას, რაც აუცილებელია ორგანიზაციის საქმიანობის შეუფერხებლად გაგრძელებისთვის, გამგეობას უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება და/ან იმოქმედოს იმ წესებისგან განსხვავებით, რაც დადგენილია წინამდებარე წესდებით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი გამგეობის წევრების მიერ დამტკიცების მომენტიდან.
2. საზოგადოების საქმიანობიდან ან ამ წესდებიდან წარმოშობილი ნებისმიერი დავა გადაწყდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საქართველოს სასამართლოებში.
3. წინამდებარე წესდების მიმართ ვრცელდება ქართული კანონმდებლობა.
4. წინამდებარე წესდების ქართულ და ინგლისურ ვერსიებს გააჩნიათ იურიდიული ძალა. აღნიშნულ ორ ვერსიას შორის რაიმე სახის შეუსაბამობის აღმოჩენის შემთხვევაში, ქართულ ვერსიას ენიჭება უპირატესობა. წინამდებარე წესდების არცერთ სხვა ენაზე ნათარგმნ ვერსიას არ ექნება სავალდებულო იურიდიული ძალა გარდა ქართული და ინგლისური ვერსიებისა.

ხელმოწერები

შოი ხეცურიანი

მაია მიქაშავიძე

სოფიო ფანჯიკიძე

ანდრო დგებუაძე

ნინო ჩიჩუა
